საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/53 " 10 " ივნისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ვ. მშვენიერაძისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ივნისის №1/50 განკარგულების საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე ბადრი შონია გამწესდა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, შესაბამისად იგი ვეღარ შეასრულებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის, ხოლო იმ სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, - სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამავე სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დატვირთულობის გათვალისწინებით, თავმჯდომარის არყოფნა უარყოფითად აისახება კოლეგიის გამართულ ფუნქციონირებაზე, რის გამოც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დაყენებულ იქნა საკითხი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის საფუძველზე თავმჯდომარის დანიშვნამდე, უფლებამოსილების კოლეგიის ერთ-ერთი მოსამართლის ვასილ მშვენიერაძისათვის დაკისრების თაობაზე. საკითხი მხარდაჭერილ იქნა საბჭოს ყველა წევრის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2022 წლის 13 ივნისიდან:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბ. შონიას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 5 აპრილის №1/33 განკარგულება.

2. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ვასილ მშვენიერაძეს დაეკისროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე